ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3171638

ნომერი: AR1486568

თარიღი : 15.03.2017

გაცემის თარიღი : 27.03.2017

გაცნობის თარიღი : 27.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა ,,აგატს" შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ქუხილავა პ/ნ 01005045040
- ქ. თბილისი, კედიას ქ. 3, ბინა 1

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1486568 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, დანართის სახით წარმოდგენილ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: #01.12.04.003.031 და მიმდებარედ) გზის/ტროტუარის მოწყობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, მოცემული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.12.04.003.031 და მიმდებარედ) კეთილმოწყობასთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა ხე–ნარგავებთან მიმართებაში დაცული იქნეს ბუფერი, რომ არ დაზიანდეს და არ დაირღვეს არსებული მწვანე ნარგავების სასიცოცხლო ფუნქცია. ხოლო, საბოლოო ნებართვის მოსაპოვებლად საჭიროა ელექტრონული განცხადება ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურში: „I კლასი – მცირე არქიტექტურული ობიექტები“. ამასთან, ვინაიდან, თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია დაურეგისტრირებელია, ხოლო, მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.12.04.003.031) წარმოადგენს ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას წარმოდგენილ უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულის განხორციელებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.